PDF Eraser Free

განათლების ხარისხის განვითარების ეროვნული ცენტრი
NATIONAL CENTER FOR EDUCATIONAL QUALITY ENHANCEMENT

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნა

სსიპ „შოთა მესხიას ზუგდიდის სახელმწიფო სასწავლო უნივერსიტეტის „მეფუტკრეობის“ პროფესიულ საგანმანათებლო პროგრამაზე პროფესიულ სტუდენტთა ადგილების რაოდენობის გაზრდის შესახებ (ქ. სენაკი)

ექსპერტთა ჯგუფის წევრები
თავმჯდომარე: ნინო თამაზაშვილი
წევრი: თამარ ახალაძე

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:
ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრის ხელმოწერა:

PDF Eraser Free

I. ინფორმაცია დაწესებულების შესახებ

დაწესებულების სახელწოდება: სსიპ შოთა მესხიას ზუგდიდის სახელმწიფო სასწავლო უნივერსიტეტი

ორგანიზაციულ სამართლებრივი ფორმა: საჯარო სამართლის იურიდიული პირი

საიდენტიფიკაციო კოდი: [redacted]

სახე:

- [x] **უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულება**
- [ ] **ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულება**
- [ ] **პროფესიული საგანმანათლებლო დაწესებულება/კოლეჯი**

ადმინისტრაციული წარმოების სახე (მონიშნეთ შესაბამისი უჯრა):

- [x] პროფესიულ სტუდენტთა ადგილების რაოდენობის გაზრდა
- [ ] პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის განხორციელების ადგილის/ფართის ცვლილება
- [ ] საშუალო პროფესიულ საგანმანათლებლო პროგრამაში ზოგადი განათლების საშუალო საფეხურის სწავლის შედეგების ინტეგრირება
- [ ] ავტორიზაციის პირობების შესრულების შემოწმება

- [ ] **გეგმიური**
- [ ] **არაგეგმიური**

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრის ხელმოწერა:

PDF Eraser Free

III. საერთო მიმოხილვა

სსიპ- განათლების ხარისხის განვითარების ეროვნული ცენტრის დირექტორის მოადგილეს 2022 წლის 12 იანვრის N15422 ბრძანების საფუძველზე, ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფს დაევალა ვიზიტის განხორციელება სსიპ - შოთა მესხიას ზუგდიდის სახელმწიფო სასწავლო უნივერსიტეტში (ქ. სენაკში, მშვიდობის ქუჩა No192) საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის 2010 წლის 1 ოქტომბრის No99/ნ ბრძანებით დამტკიცებული „საგანმანათლებლო დაწესებულების ავტორიზაციის დებულების“ 31-ე მუხლის, მე-2 პუნქტის ბ) ქვეპუნქტით განსაზღვრული სტანდარტის ბ.ბ) კომპონენტთან შესაბამისობის შეფასების მიზნით.

ექსპერტებმა შეისწავლეს დაწესებულების მიერ სსიპ- განათლების ხარისხის განვითარების ეროვნული ცენტრში გამოგზავნილი განაცხადი და თანდართული დოკუმენტაცია. შედგა ვიზიტის დღის წესრიგი და შესაბამისად 2022 წლის 28 იანვარს განხორციელდა ვიზიტი სსიპ ,,შოთა მესხიას ზუგდიდის სახელმწიფო სასწავლო უნივერსიტეტში“ (ქ. სენაკი, მშვიდობის ქ. 192). ექსპერტები შეხვდნენ და გაესაუბრნენ დაწესებულების რექტორსა და ადმინისტრაციას და შესასწავლ საკითხებზე პასუხისმგებელ პირებს. დათვალიერდა სასწავლო გარემოები და მატერიალური რესურსები. დოკუმენტაციის ანალიზი, დათვალიერების და გასაუბრების შედეგები დეტალურად არის ასახული დასკვნაში.

IV. საუკეთესო გამოცდილების საერთო მიმოხილვა

არ დაფიქსირებულა

V. წინა ვიზიტის ფარგლებში გაცემული რეკომენდაციების შესრულების შეფასება და აღწერა

VI. დაფიქსირებული ხარვეზების შეჯამება

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:
ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრის ხელმოწერა:

PDF Eraser Free

არ დაფიქსირებულა.

VII .სტანდარტთან შესაბამისობის რეკომენდაციების შეჯამება

არ დაფიქსირებულა.

VIII. განმავითარებელი რეკომენდაციების შეჯამება

არ დაფიქსირებულა.

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრის ხელმოწერა:

PDF Eraser Free

IX. სტანდარტების შეფასება

ინფორმაცია პსდ-ს პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის შესახებ

პროგრამის სახელწოდება	მეფუტკრეობა
პროფესიული განათლების საფეხური / დონე	მესამე
მისანიჭებელი კვალიფიკაცია	საბაზო პროფესიული კვალიფიკაცია მეფუტკრეობაში
სპეციალიზაციის/სწავლის დეტალური სფეროს კოდი	0811
პროგრამის დამტკიცების/ცვლილების აქტის რეკვიზიტები	პროგრამა დამტკიცებულია აკადემიური საბჭოს 2019 წლის № 38 დადგენილებით ცვლილება განხორციელებულია აკადემიური საბჭოს 2021 წლის 25 მარტის N17 დადგენილებით
პროგრამის განხორციელების ენა	ქართული ენა
პროგრამის განხორციელების ადგილი	სენაკი, მშვიდობის ქ. N192
პროგრამის განხორციელების ფორმა (მოდულური/დუალური)	მოდულური/დუალური
პროგრამაზე პროფესიულ სტუდენტთა ზღვრული რაოდენობა	30 - მოდულური 10 - დუალური

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:
ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრის ხელმოწერა:

PDF Eraser Free

სტუდენტთა ზღვრული რაოდენობიდან, პროფესიული სტუდენტთა ზღვრული რაოდენობა იმ სასწავლო გეგმაზე, რომელიც მოიცავს ინტეგრირებულ ზოგად მოდულებს (არსებობის შემთხვევაში).	-
კრედიტების რაოდენობა ინტეგრირებული სასწავლო გეგმის შემთხვევაში ქართულენოვანი სტუდენტებისთვის	-
კრედიტების რაოდენობა არაინტეგრირებული სასწავლო გეგმის შემთხვევაში ქართულენოვანი სტუდენტებისთვის	60
კრედიტების რაოდენობა ინტეგრირებული სასწავლო გეგმის შემთხვევაში არაქართულენოვანი სტუდენტებისთვის	-
კრედიტების რაოდენობა არაინტეგრირებული სასწავლო გეგმის შემთხვევაში არაქართულენოვანი სტუდენტებისთვის	75

ექსპერტთა ჯგუფის შეფასება პროგრამაზე მოთხოვნილი პროფესიულ სტუდენტთა ზღვრული რაოდენობის შესახებ:

ექსპერტთა ჯგუფი ეთანხმება ☒

ექსპერტთა ჯგუფი არ ეთანხმება ☐

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრის ხელმოწერა:

PDF Eraser Free

X. პროგრამის პროფესიული საგანმანათლებლო დაწესებულების ავტორიზაციის მე-2 სტანდარტთან შესაბამისობის ცხრილი

სტანდარტი/კომპონენტი	**საგანმანათლებლო დაწესებულების შეფასება**	**ექსპერტთა ჯგუფის შეფასება**
2) საგანმანათლებლო პროგრამები		შეესაბამება
2.2) საგანმანათლებლო პროგრამის განხორციელების რესურსი		შეესაბამება

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრის ხელმოწერა:

PDF Eraser Free

XI. სტანდარტის შეფასება

პროფესიული საგანმანთლებლო პროგრამის პროფესიული საგანმანათლებლო დაწესებულების ავტორიზაციის მე-2 სტანდარტთან შესაბამისობის შეფასება

2. საგანმანათლებლო პროგრამები

2.2 საგანმანათლებლო პროგრამის განხორციელების რესურსი.

2.2.1 პროგრამა უზრუნველყოფილია პროგრამის განსახორციელებლად საჭირო რესურსებით.

1. პროგრამით გათვალისწინებული სწავლის შედეგების მიღწევა უზრუნველყოფილია დაწესებულების/სასწავლო საწარმოს/ პრაქტიკის ობიექტის მფლობელობაში არსებული მატერიალური რესურსით, პროფესიულ სტუდენტთა ზღვრული რაოდენობის გათვალისწინებით;
2. პროგრამისთვის განსზღვრული პროფესიული განათლების მასწავლებელთა რაოდენობა და დატვირთვა უზრუნველყოფს საგანმანათლებლო პროგრამის განხორციელების მდგრადობას;
3. პროგრამისთვის განსაზღვრულ პროფესიული განათლების მასწავლებელს აქვს პროფესიულ სტუდენტთათვის შესაბამისი სწავლის შედეგების გამომუშავების და შეფასების კომპეტენცია;
4. საგანმანათლებლო პროგრამას ჰყავს პსდ-ს მიერ განსაზღვრული, შესაბამისი დარგობრივი კომპეტენციის მქონე ხელმძღვანელი;
5. საგანმანათლებლო პროგრამაში მითითებული საგანმანათლებლო რესურსი ხელმისაწვდომია ელექტრონული სახით ან დაწესებულების ბიბლიოთეკაში მატერიალური სახით და გამოიყენება სასწავლო პროცესში;
6. სსსმ პირებს წვდომა აქვთ პროგრამით გათვალისწინებულ ან ინდივიდუალური სასწავლო გეგმით გათვალისწინებულ სასწავლო რესურსებთან, რომლებიც ადაპტირებულია სსსმ პირების საჭიროებებისა და მოთხოვნილებების შესაბამისად;
7. პსდ-ს ფინანსური რესურსით უზრუნველყოფილია საგანმანათლებლო პროგრამის განხორციელების მდგრადობა.

კომპონენტის/კრიტერიუმის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი:

1. პროგრამით გათვალისწინებული სწავლის შედეგების მიღწევა უზრუნველყოფილია დაწესებულების/სასწავლო საწარმოს/ პრაქტიკის ობიექტის მფლობელობაში არსებული მატერიალური რესურსით, პროფესიულ სტუდენტთა ზღვრული რაოდენობის გათვალისწინებით;

სსიპ ,,შოთა მესხიას ზუგდიდის სახელმწიფო სასწავლო უნივერსიტეტმა“ წარმოადგინა კვლევა ,,შრომის ბაზრის და ზრდის პოტენციალის მქონე ეკონომიკური სექტორების იდენტიფიცირების მიზნით“, სადაც მოცემულია, რომ სოფლის მეურნეობის დარგში გამოკითხული საწარმოების უმეტესობამ სხვა სპეციალობებთან ერთად მოთხოვნა დააფიქსირა მეფუტკრეობაზე და აღნიშნა, რომ რეგიონში კვალიფიციური მეფუტკრეების დეფიციტია. დაწესებულების ადმინისტრაციის თანამშრომელმა გასაუბრებისას აღნიშნა რომ მომართვაინობა აღნიშნულ პროგრამაზე ძალიან გაიზარდა და ბოლო მიღების გამოცხადებისას 10 ვაკანტურ ადგილზე რეგისტრაცია გაიარა 17 -მა აპლიკანტმა. აჟამად პროგრამაზე არც ერთი აქტიური სტატუსის მქონე პროფესიული სტუდენტი არ ფიქსირდება. გარდა ამ

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:
ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრის ხელმოწერა:

PDF Eraser Free
დასაბუთებისა და მაღალი მოთხოვნისა, დაწესებულება არსებული კვოტის ფარგლებში ვერ ახერხებს პროგრამის უწყვეტად განხორციელებას. შესაბამისად ერთ-ერთი მიზეზი/საფუძველი დაწესებულების გადაწყვეტილება სტუდენტთა ზღვრული რაოდენობის გაზრდის შესახებ განპირობებულია, რომ სასწავლო უნივერსიტეტმა ყოველ წელს უწყვეტად შეძლოს აღნიშნულ პროგარამაზე მიღების გამოცხადება.

დაწესებულებაში ვიზის ექსპერტებმა დაათვალიერეს პროფესიული საგანამანთლებლო პროგრამისათვის განსაზღვრული A,B,C გარემოები. დაწესებულების სენაკის ბაზაზე, შენობის პირველ სართულზე არსებულ სასწავლო აუდიტორიაში - (A/C გარემო) განლაგებულია 15 პროფესიული სტუდენტის და ერთი მასწავლებლის სამუშაო ადგილი, მასწავლებლის კომპიუტერი, პრინტერი, დემონსტრირების ციფრული საშუალება, სასწავლო პლაკატები და მატერიალური რესურსების ის ჩამონათვალი რაც საჭიროა და საგანმანათლებლო პროგრამის მატერიალური რესურსის ჩამონათვალითაა გათვალისწინებული პროფესიული პროგრამის განხორციელებისათვის. ექსპერტთა მიერ გადამოწმდა პროგრამით განსაზღვრული მატერიალური რესურსები და მათი ფლობის დამადასტურებელი დოკუმენტაცია. ექსპერტთა ჯგუფმა დაათვალიერა კოლეჯის ბაზაზე არსებული საფუტკრე მეურნეობა, რომელიც მოიცავს ფუტკრის 23 ოჯახს. ადმინისტრაციასთან გასაუბრების შედეგად ირკვევა, რომ კოლეჯში მიმდინარეობს ,,საქართველოს რეგიონული განვითარებისა და ინფრასტრუქტურის სამინისტროს“ მიერ მეფუტკრეობის პროგრამისთვის ახალი კეთილმოწყობილი სახელოსნოს მშენებლობის პროცესი და დასრულდება მიმდინარე წლის ბოლოს.
მოდული „ინფორმაციული წიგნიერება- 1“ ხორციელდება ასევე შენობის პირველ სართულზე განთავსებულ კომპიუტერულ კლასში (B გარემო), რომელიც სრულადაა აღჭურვილი შესაბამისი რაოდენობის კომპიუტერებითა და მატერიალური რესურსებით. სასწავლო გეგმა ისეა შედგენილი, რომ დაწესებულების მატერიალური რესურსების გათვალისწინებით ერთ მიღებაზე შესაძლებელია დაწესებულებამ მიიღოს 15 პროფესიული სტუდენტი მოდულური მიდგომით. პროგრამის ხანგრძლიოვბაა 1 წელი, შესაბამისად ორ მიღებაზე დაწესებულება შეძლებს 30 პროფესიული სტუდენტის მიღებას.

პროგრამის ფარგლებში, სასწავლო უნივერსიტეტს ჰყავს პარტნიორი კომპანია რკ. „ოცნება“. რომელთანაც გაფორმებულია ხელშეკრულება და ითვალისწინებს პროგრამის ფარგლებში სასწავლო ექსკურსიას.

დოკუმენტაციის ანალიზის, გასაუბრების და დათვალიერების შედეგებით დასტურდება, რომ პროგრამით გათვალისწინებული სწავლის შედეგების მიღწევა უზრუნველყოფილია დაწესებულების მფლობელობაში არსებული მატერიალური რესურსით, პროფესიულ სტუდენტთა მოთხოვნილი ზღვრული რაოდენობის გათვალისწინებით;

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:
ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრის ხელმოწერა:

PDF Eraser Free

2. პროგრამისთვის განსზღვრული პროფესიული განათლების მასწავლებელთა რაოდენობა და დატვირთვა უზრუნველყოფს საგანმანათლებლო პროგრამის განხორციელების მდგრადობას;

პროფესიულ საგანმანათლებლო პროგრამის ,,მეფუტკეობა" განხორციელებაში ჩართულია 19 პროფესიული განათლების მასწავლებელი. 10 პროფესიული მოდულის განმახორციელებელია 5 პროფესიული მასწავლებელი, შესაბამისად მათი რაოდენობის შეფარდება სტუდენტების ზღვრულ რაოდენობასთან სრულად უზრუნველყოფს პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის განხორციელების მდგრადობას, რაც დასტურდება მასწავლებლებთან გაფორმებული ხელშეკრულებებით. პროგრამით გათვალისწინებულ პროფესიულ მოდულებს ახორციელებს რამდენიმე პროფესიული განათლების მასწავლებელი შესაბამისი დარგობრივი კვალიფიკაციითა და სამუშაო გამოცდილებით, რათა ერთ-ერთი მათგანის მიერ კანონით მინიჭებული უფლებებით სარგებლობისას, მაგ. შვებულება, საავადმყოფო ფურცელი, სამსახურიდან წასვლა და სხვა, საფრთხე არ შეექმნას პროგრამის უწყვეტად განხორციელებას.

3. პროგრამისთვის განსაზღვრულ პროფესიული განათლების მასწავლებელს აქვს პროფესიულ სტუდენტთათვის შესაბამისი სწავლის შედეგების გამომუშავების და შეფასების კომპეტენცია;

პროფესიული განათლების მასწავლებლების კვალიფიაკცია შეესაბამება დაწესებულების მიერ დადგენილ საკვალიფიკაციო მოთხოვნებს, რმელიც განსაზღვრულია სსიპ ,,შოთა მესხიას ზუგდიდის სახელმწიფო სასწავლო უნივერსიტეტში პროფესიული განათლების მასწავლებელის სამსახურში მიღების, შრომის ანაზღაურების ოდენობისა და პირობების განსაზღვრის წესით (2020 წლის 29 ივნისის N12 დადგენილება). ვიზიტისას გადამოწმდა პროგრამის განმახორციელებელი ყველა პირის პირადი საქმე. პროგრამაში ჩართულ თითოეულ პროფესიული განათლების მასწავლებელს აქვს პროფესიული სტუდენტებისთვის სწავლების შესაბამისი კვალიფიკაცია, კომპეტენცია და სამუშაო გამოცდილება, რასაც ადასტურებს მათ მიერ წარმოდგენილი კვალიფიკაციისა და სამუშაო გამოცდილების დამადასტურებელი დოკუმენტები. პროგრამის პროფესიული განათლების მასწავლებლები აქტიურად არიან ჩართულნი სხვადასხვა ტრენინგებში სწავლა-სწავლებისა და შეფასების მიმართულებით. გარდა ამისა, კოლეჯის ადმინისტრაციის წარმომადგენლები აქტიურად ატარებენ ტრენინგებს პროფესიული განათლების მასწავლებლებისათვის შეფასების საკითხებზე. დოკუმენტაციის ანალიზით და გასაუბრების შედეგებით დასტურდება, რომ პროგრამისთვის განსაზღვრულ პროფესიული განათლების მასწავლებელს აქვს პროფესიულ სტუდენტთათვის შესაბამისი სწავლის შედეგების გამომუშავების და შეფასების კომპეტენცია;

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრის ხელმოწერა:

PDF Eraser Free

4. საგანმანათლებლო პროგრამას ჰყავს პსდ-ს მიერ განსაზღვრული, შესაბამისი დარგობრივი კომპეტენციის მქონე ხელმძღვანელი;

პროფესიულ საგანმანთლებლო პროგრამას ,,მეფუტკრეობა“ ჰყავს შესაბამისი დარგობრივი კომპეტენციის მქონე ხელმძღვანელი, რომელიც დანიშნულია კოლეჯის დირექტორის 2019 წლის 2 დეკემბრის N01-02/155 ბრძანებით. პროგრამის ხელმძღვანელს აქვს პროფესიით მუშაობის 20 წლიანი გამოცდილება. ის არის მეფუტკრეთა კოოპერატივის ,,ოცნების“ წევრი. პროგრამის ხელმძღვანელის ფუნქცია მოვალეობები გაწერილია მასთან გაფორმებული ხელშეკრულების დანართი 3-ში. ის 2019 წლიდან ხელმძღვანელობს პროგრამას და ჩართული იყო პროგრამის ადაპტირების პროცესში, გასაუბრებისას მან აღნიშნა, რომ ის მუდმივად უწევს კონსულტაციას პროგრამის განხორციელებაში ჩართულ პირებს კალენდარული გეგმისა და შეფასების ინსტრუმენტის შედგენაში. დოკუმენტაციის შესწავლისა და გასაუბრების შედეგად დასტურდება, რომ მას აქვს შესაძლებლობა, სრულფასოვნად უხელმღვანელოს პროგრამის განხორციელების პროცესს.

5. საგანმანათლებლო პროგრამაში მითითებული საგანმანათლებლო რესურსი ხელმისაწვდომია ელექტრონული სახით ან დაწესებულების ბიბლიოთეკაში მატერიალური სახით და გამოიყენება სასწავლო პროცესში;

საგანმანათლებლო პროგრამაში მითითებული საგანმანათლებლო რესურსი დამუშავებულია საბიბლიოთეკო წესის შესაბამისად, დაინტერესებული პირებისთვის ხელმისაწვდომია მატერიალური, ელექტრონული სახით და გამოიყენება სასწავლო პროცესში. ბიბლიოთეკაში არის სამკითხველო დარბაზი. სტუდენტებს შესაძლებლობა აქვთ ისარგებლონ პრინტერით და ელექტრონული სახით არსებული მასალები ამობეჭდონ სურვილის შემთხვევაში. ვიზუალური დათვალიერებისას გადამოწმდა პროგრამის მოდულებში მითითებული ლიტერატურა, როგორც მატერიალურად ასევე Open Biblio-ს საშუალებით. საბიბლიოთეკო სივრცე საშუალებას იძლევა, რომ პროფესიულმა სტუდენტმა იმუშაოს დამოუკიდებლად, მოიძიოს მისთვის საჭირო ინფორმაცია ინტერნეტით და მიიღოს ბიბლიოთეკარის მომსახურეობა. შემოწმებისას დადგინდა, რომ პროფესიული სტუდენტები იყენებენ სასწავლო რესურსებს, რის დასტურადაც ბიბლიოთეკარმა წარმოადგინა პროფესიული სტუდენტების მიერ ბიბლიოთეკიდან სასწავლო რესურსებით სარგებლობის დამადასტურებელი შევსებული ჟურნალი. ბიბლიოთეკაში თვალსაჩინო ადგილას გამოკრულია ბიბლიოთეკით სარგებლობის წესი.

6. სსსმ პირებს წვდომა აქვთ პროგრამით გათვალისწინებულ ან ინდივიდუალური სასწავლო გეგმით გათვალისწინებულ სასწავლო რესურსებთან, რომლებიც ადაპტირებულია სსსმ პირების საჭიროებებისა და მოთხოვნილებების შესაბამისად;

დაწესებულების ადმინისტრაციამ გასაურებისას აღნიშნა, რომ ,,მეფუტკრეობის“ პროფესიულ საგანმანათლებლო პროგრამაზე სპეციალური საგანმანათლებლო საჭიროების პროფესიული სტუდენტი არ ჰყავთ, თუმცა თუკი შემდეგი მიღებისთვის ჩაირიცხება მსგავსი საჭიორების მქონე პირი, ისარგებლებს ყველა პირობით რომელიც შექმნილია დაწესებულებაში. სსიპ - შოთა მესხიას სახელმწიფო

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:
ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრის ხელმოწერა:

PDF Eraser Free
სასწავლო უნივერსიტეტის პროფესიულ საგანმანათლებლო პროგრამებზე სასწავლო პროცესის მარეგულირებელი წესის (მუხლი 25) შესაბამისად, სსსმ პირებს საჭიროების შემთხვევაში წვდომა ექნებათ პროგრამით გათვალისწინებულ ან ინდივიდუალური სასწავლო გეგმით გათვალისწინებულ სასწავლო რესურსებთან, რომლებიც ადაპტირებული და მორგებული იქნება სსსმ პირების საჭიროებებისა და მოთხოვნილებების შესაბამისად პროფესიული განათლების მასწავლებელის/ინკლუზიური პროფესიული განათლების სპეციალისტის/ინკლუზიური განათლების სასწავლო პროცესის ასისტენტის მიერ.

7. პსდ-ს ფინანსური რესურსით უზრუნველყოფილია საგანმანათლებლო პროგრამის განხორციელების მდგრადობა.

დაწესებულების მიერ წარმოდგენილი პროგრამის ბიუჯეტით, პროგრამისთვის რენტაბელობის ზღვარი შეადგენს 5 პროფესიულ სტუდენტს, 5 პროფესიული სტუდენტიდან გამომდინარე, დათვლილია მიღებული შემოსავლები და ხარჯები. შემოსავლების მთავარი წყარო სწავლის საფასური - ვაუჩერი და პროგრამული დაფინანსებაა, ხოლო პროგრამის განხორციელებასთან დაკავშირებულ ხარჯებს ძირითადად წარმოადგენს პროფესიული განათლების მასწავლებლების შრომის ანაზღაურება და პროგრამის სასწავლო მასალების, მასალა-ნედლეულის ღირებულება კომუნალური და სხვა ხარჯი აქედან გამომდინარე დაწესებულების ფინანსური რესურსით უზრუნველყოფილია საგანმანათლებლო პროგრამის განხორციელების მდგრადობა.

დასტურდება (მტკიცებულება/ინდიკატორები):

- პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის ,, მეფუტკრეობა“ დამტკიცებისა და მასში განხორცილებული ცვლილების დადგენილება (აკადემიური საბჭოს 2019 წლის № 38 დადგენილება, განხორციელებული ცვლილება აკადემიური საბჭოს 2021 წლის 25 მარტის N17 დადგენილება)
- სსიპ შოთა მესხიას ზუგდიდის სახელმწიფო სასწავლო უნივერსიტეტსა და რკ „ოცნება“-ს შორის გაფორმებული ხელშეკრულება;
- ,,შოთა მესხიას ზუგდიდის სახელმწიფო სასწავლო უნივერსიტეტში პროფესიული განათლების მასწავლებელის სამსახურში მიღების, შრომის ანაზღაურების ოდენობისა და პირობების განსაზღვრის წესი;
- შოთა მესხიას ზუგდიდის სახელმწიფო სასწავლო უნივერსიტეტის პროფესიულ საგანმანათლებლო პროგრამებზე სასწავლო პროცესის მარეგულირებელი წესი;
- პროფესიულ სტუდენტთა ზღვრული რაოდენობის განსაზღვრის მეთოდოლოგია;
- პროფესიულ სტუდენტთა ზღვრული რაოდენობის განსაზღვრის დოკუმენტი;
- შევსებული ფორმა პროგრამის განხორციელებისთვის საჭირო ადამიანური რესურსის შესახებ, პროფესიული განათლების მასწავლებლის პირადი საქმე, გაფორმებული ხელშეკრულებები;

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:
ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრის ხელმოწერა:

PDF Eraser Free

- პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის ხელმძღვანელის პირადი საქმე, დანიშვნის ბრძანება;
- შევსებული ფორმა პროგრამის განხორციელებისთვის საჭირო მატერიალური რესურსის შესახებ;
- პროგრამის განხორციელებისთვის საჭირო მატერიალური რესურსის ფლობის დამადასტურებელი დოკუმენტი;
- დოკუმენტების შესწავლით და დათვალიერებით მატერიალური რესურსების შეფასების შედეგები;
- ბიბლიოთეკაში არსებული საბიბლიოთეკო წესის შესაბამისად დამუშავებული სასწავლო რესურსი;
- პროგრამის ბიუჯეტი;
- ინტერვიუს შედეგები.

შეფასება:

☒ შეესაბამება

☐ მეტწილად შეესაბამება

☐ ნაწილობრივ შეესაბამება

☐ არ შეესაბამება

XII. თანდართული დოკუმენტაცია

17.02.2022

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრის ხელმოწერა: